

# მათემატიკა

სახელმძღვანელო



მე-2 ნაწილი



## AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*  
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!  
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!  
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!  
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!  
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!

Minlərlə can qurban oldu,  
Sinən hər bə meydan oldu!  
Hüququndan keçən əsgər,  
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,  
Sənə hər an can qurban!  
Sənə min bir məhəbbət  
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,  
Bayrağını yüksəltməyə  
Cümlə gənclər müştəqdir!  
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!  
Azərbaycan! Azərbaycan!



**ჰეიდარ ალიევი**

**აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი**



მენსურ მეჭერჩემოვი  
გუნაი ჰუსეინზადე  
სოლმაზ აბდულლაევა  
ილაჰე რუსტემოვა

# მათემატიკა

## სახელმძღვანელო

ზოგადსაგანმანათლებლო  
დაწესებულებების  
1-ელი კლასისათვის



©Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyi



**Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0  
International (CC BY-NC-SA 4.0)**

Bu nəşr Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International  
lisenziyası (CC BY-NC-SA 4.0) ilə [www.trims.edu.az](http://www.trims.edu.az)  
saytında əlçatandır. Bu nəşrin məzmunundan istifadə edərkən  
sözügedən lisenziyanın şərtlərini qəbul etmiş olursunuz:

İstinad zamanı nəşrin müəllif(lər)inin adı göstərilməlidir. 

Nəşrdən kommersiya məqsədilə istifadə qadağandır. 

Tərəmə nəşrlər orijinal nəşrin lisenziya şərtlərilə yayılmalıdır. 

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული  
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ  
[trm@arti.edu.az](mailto:trm@arti.edu.az) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az) ელექტრონულ მისამართებზე.  
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!



მე-2 ნაწილი





## 7 გეომეტრიული ფიგურები

29. სამკუთხედი, წრე, კვადრატი და მართკუთხედი . . . . .	6
30. სივრცითი ფიგურები . . . . .	8
31. მთელი და ნახევარი . . . . .	10
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	12




## 8 შეკრება (20-მდე)

32. რიცხვების შეკრება . . . . .	14
33. 10-მდე შევსებით შეკრება . . . . .	16
ამოცანები . . . . .	18
34. შეკრების სხვა ხერხები . . . . .	19
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	22



## 9 გამოკლება (20-მდე)

35. რიცხვების გამოკლება . . . . .	23
36. 10-მდე შემცირებით გამოკლება . . . . .	26
ამოცანები . . . . .	29
37. შეკრებისა და გამოკლების კავშირი . . . . .	30
ამოცანები . . . . .	33
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	34



## 10 რიცხვები (100-მდე). ფული

38. 100-მდე დათვლა . . . . .	36
39. ათეული და ერთეული . . . . .	39
40. კაპიკი და მანათი . . . . .	41
41. ვაჭრობა . . . . .	43
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	45



## 11 გაზომვა

42. გრძელი და მოკლე . . . . .	48
43. სანტიმეტრი . . . . .	51
44. მძიმე და მსუბუქი . . . . .	53
45. ტევადობა . . . . .	55
ამოცანები . . . . .	57
46. დღე, კვირა და თვე . . . . .	58
47. საათი . . . . .	61
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	63



ხელი	კალათაში
ბალი	●●●●●
ქერამი	●●●●●
მარწყვი	●●●●●

## 12 ინფორმაციების ასახვა

48. ცხრილი და პიქტოგრამა . . . . .	64
ამოცანები . . . . .	67
49. დიაგრამა . . . . .	68
განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	70

1-ელი კლასის განმაზოგადებელი დავალებები . . . . .	72
ლექსიკონი . . . . .	74
ამოცანის ამოხსნის ნიმუში . . . . .	76

# გამატრიული ფიგურები



## მზად ვართ?

- სურათზე მოცემულ რომელ ფიგურებს იცნობთ?
- გარშემო ამ ფიგურების მსგავსი რომელი საგნები არსებობს?
- რამდენი ერთი და იმავე ფერის ფიგურაა ელხანისა და სეზინეს აგებულ კოშკებში?
- რომელ ფიგურას აფერადებს გულსუმი?

## 29 სამკუთხედი, წრე, კვადრეტი და მართკუთხედი

### გამოკვლევა-განხილვა

თამაში “ვინ მეტს იპოვის?”

მოთამაშეთა რაოდენობა: 2

საჭიროა: 4 ბარათი, რომელზეც ახატია სამკუთხედი, წრე, კვადრეტი და მართკუთხედი.

თამაშის წესი:

1. ბარათები მაგიდაზე პირქვე დაიწყობა.
2. ერთი ბარათი გაიხსნება.
3. მოთამაშეები რიგრიგობით ამ სურათზე მოცემული ფიგურის მსგავს საგნებს ასახელებენ.  
1 ქულას მიიღებს ის მოთამაშე, რომელიც მეტ საგანს დაასახელებს.
4. შემდეგ მორიგი ბარათი გაიხსნება.  
გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.



### საკვანძო სიტყვები

სამკუთხედი ▲

წრე ●

კვადრეტი ■

მართკუთხედი ▭



### შესწავლა

გვერდი წვერო  

 სამკუთხედს 3 გვერდი და 3 წვერო აქვს.  
**სამკუთხედი**

მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდები ტოლია.  
**მართკუთხედი**

წრეს წვერო არა აქვს.  
**წრე**

კვადრეტი არის მართკუთხედი, რომლის ყველა გვერდი ტოლია.  
**კვადრეტი**




მოიფიქრე!

რამდენი წვერო და რამდენი გვერდი აქვს კვადრატს? მაშ, მართკუთხედს?




## მეგზური

თითოეული ფიგურის რამდენი ცალია სურათზე?






ნიმუში •  $\triangle \rightarrow 16$





## დამოუკიდებელი სამუშაო

1. განსაზღვრეთ თითოეული ფიგურის ფორმის საგანი.





2. მაგალითის დაწერით გაეცით პასუხი კითხვებზე:

- სულ რამდენი კვადრატია ორ სურათზე?
- რამდენი წრით მეტია მარცხენა სურათზე, მარჯვენასთან შედარებით?
- რამდენით ნაკლებია წრეებთან შედარებით, ორივე სურათზე მართკუთხედები?




## ამოცანის ამოხსნა

3. სურათების დასასრულებლად, რომელი ნაწილები შეიძლება დაემატოს ჩარჩოდან? დაასახელეთ ამ ნაწილების შესაბამისი ფიგურები.



## 30 სივრცითი ფიგურები


### გამოკვლევა-განხილვა




კვადრატის ფორმის ქაღალდისაგან დაამზადეთ ნიმუშის შესაბამისი ფიგურა.

- სად ხვდებით ამ ფიგურის მსგავს საგნებს?


### შესწავლა




კონუსი




ბირთვი



კუბი



კუბოიდი



ცილინდრი

### მეგზური

რომელ ფიგურებს ჰგავს საგნები ფორმის მიხედვით?

#### ნიმუში •



კუბოიდი



## დამოუკიდებელი სამუშაო


1. მოცემული საგნებიდან რომლებია კუბის ფორმის?



2. დასახელებთ გაფერადებულ უჯრებში მყოფი ფიგურები. უჩვენეთ თითოეულ რიგში ის საგნები, რომლებიც ამ ფიგურას არ შეესაბამებიან.




3. განსაზღვრეთ მარცხენა ფიგურებიდან თითოეულის მსგავსი მარჯვენა ფიგურებში.



## ამოცანის ამოხსნა

4. რომელი ფიგურები შეიძლება დაემატოს სურათს? დასახელებთ თითოეული მაგალითის პასუხის შესაბამისნომრიანი ფიგურა.



# 31 მთელი და ნახევარი

## გამოკვლევა-განხილვა



ანარისა და სებინეს ისე უნდათ გაინაწილონ თევზზე დადებული ტკბილეული, რომ ორივეს თანაბარი წილი შეხვდეს.

- როგორ შეძლებენ ისინი ამის გაკეთებას?

## საკვანძო სიტყვები

მთელი




ნახევარი




## შესწავლა

ზოგიერთი საგნის ორ ტოლ ნაწილად დაყოფა შეიძლება. ეს ნაწილები მთელის ნახევარია.

მთელი




ნახევარი



### • ტოლი ნაწილები

ნახევარი ნაწილი



ნახევარი ნაწილი

### • არათანატოლი ნაწილები

დიდი ნაწილი




პატარა ნაწილი

## მეგზური

იპოვეთ მთელი და ნახევრები.


ნიმუში •






## დამოუკიდებელი სამუშაო




1. განსაზღვრეთ ორ ტოლ ნაწილად დაყოფილი ფიგურები.



• ზოგიერთი საგნების ჯგუფის რაოდენობით ორ ტოლ ნაწილად დაყოფა შეიძლება.




2. რომელ ჯგუფშია ღილები რაოდენობრივად ორ ტოლ ნაწილად დაყოფილი?




## ამოცანის ამოხსნა

3. ელხანს სურს 10 ყვავილი ლალესა და სებინეს თანაბრად გაუნაწილოს. რამდენი ყვავილი შეხვდება თითოეულ გოგონას?



4. აინურამ თეფშზე მყოფი თითოეული ხილი შუაზე გაყო. თითოეული ხილის რამდენი ცალი იყო თავიდან?



5. ანარის აზრით, მართკუთხედებიდან ორი ტოლ ნაწილად დაყოფილი. თქვენ როგორ ფიქრობთ?





## განმარტობადობელი დავალებები

1. სამირას დახატულ ფიგურას წვერო არა აქვს. რომელია მისი დახატული ფიგურა?




2. ლალემ დახატა ფიგურა, რომლის ყველა გვერდი ტოლია. ამ ფიგურას 4 გვერდი და 4 წვერო აქვს. ქვემოთ მოცემული ფიგურებიდან რომელი დახატა მან?



3. სებიანეს სურს გააფერადოს ფიგურა, რომელსაც ყველაზე ნაკლები წვერო აქვს. რომელ ფიგურას გააფერადებს ის?




4. აინურამ სამკუთხედი დახატა და 2 ტოლ ნაწილად დაყო. ამ ნაწილებიდან ერთი ყვითლად, მეორე სხვა ფერში შეღება. რომელი სურათი დახატა აინურამ?




5. ფიგურები შესაბამისი ნიშნების მიხედვითაა დაჯგუფებული. რომელ ნაწილებში შეიძლება დანარჩენი ფიგურების მოთავსება?

წითელი ფერის ფიგურები

სივრცითი ფიგურები



წითელი სივრცითი ფიგურები





# უპრეზა და ბამოკლეა (20-მდე)




## მზად ვართ?

- სულ რამდენი ბავშვია პარკში?
- თუ ქვიშის მოედანზე კიდევ ოთხი ბავშვი მოვა, რამდენი ბავშვი იქნება იქ?
- რამდენი ბავშვი დარჩება პარკში, თუ ფეხბურთის მოთამაშეები წავლენ სახლში?

32 რიცხვების შეკრება

გამოკვლევა-განხილვა




ერთ თევზზე 10 შექერბურა, მეორეზე კი 10 ფახლავაა. პირველ თევზზე 3 შექერბურა, მეორეზე კი 1 ფახლავა დაემატა.


- როგორ შეიძლება გამოვთვალოთ ტკბილეულის რაოდენობა თითოეულ თევზზე?

შესწავლა

ორი რიცხვის ჯამის მოძებნისათვის შესაბამისი რაოდენობის ორი საგნის ჯგუფის ერთად დათვლა შეიძლება.



რიცხვით ღერძზე წინ დათვლით ჯამის პოვნა შეიძლება:



$$12 + 3 = 15$$

$$\begin{array}{r} 12 \\ + 3 \\ \hline 15 \end{array}$$

მოიფიქრე!




როგორ შეიძლება ვუჩვენოთ რიცხვით ღერძზე  $3 + 12$  ჯამი?



მეგზური

გამოსახულებების შესაბამისად დაწერეთ მათემატიკური გამოსახულება. ერთად დათვლით იპოვეთ ჯამი.

ნიმუში •



$$10 + 2 = 12$$






## დამოუკიდებელი სამუშაო


1. იპოვეთ ჯამი.



$10 + 1$




$10 + 8$





$4 + 10$

2. იპოვეთ ჯამი რიცხვითი ღერძის გამოყენებით.



- თუ შესაკრებებიდან ერთი 10-ზე მეტია, მისი ათეულად და ერთეულებად დაყოფით ჯამის პოვნა შეიძლება.



$12 + 3 = 10 + 2 + 3 \rightarrow 10 + 5 = 15 \rightarrow 12 + 3 = 15$

10      2

3. ამოხსენით მაგალითები.

$10 + 7$

$14 + 4$

$12 + 5$

$18 + 1$

$12 + 6$

$$\begin{array}{r} 15 \\ + 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 17 \\ + 2 \\ \hline \end{array}$$

$11 + 8$

$13 + 3$

$11 + 6$

$10 + 5$

$12 + 7$

## ამოცანის ამოხსნა

- კალათაში 12 ვაშლი იყო. სამირამ ხიდან 4 ვაშლიც მოკრიფა და კალათაში ჩააწყო. რამდენი ვაშლი გახდა კალათაში სულ?
- ეზოში 10 ბავშვი თამაშობდა. მათ ჯერ 3, შემდეგ კი 4 ბავშვიც შეუერთდა. სულ რამდენი ბავშვია ეზოში?



# 33 10-მდე შევსებით შეკრება

## გამოკვლევა-განხილვა


თითოეულ თაროზე 10 წიგნი ეტევა. ლალემ მაგიდაზე მყოფი წიგნები თაროებზე დააწყო. მან ჯერ ზედა თარო შეავსო, შემდეგ დანარჩენი წიგნები ქვედა თაროზე მოათავსა.

- რამდენი წიგნი აღმოჩნდა ქვედა თაროზე?



## საკვანძო სიტყვები

- 10-მდე შევსება  
 $8 + 2 = 10$



## შესწავლა

ხშირად 10-ზე ნაკლები ორი რიცხვის ჯამი 10-ზე მეტი შეიძლება იყოს. მაგალითად,  $8 + 5$ . ამ შემთხვევაში დიდი შესაკრების 10-მდე შევსებით ჯამის უფრო ადვილად პოვნა შეიძლება.

$8 + 5 = ?$

რიცხვი 8  
შეივსება 10-მდე:  
 $8 + 2 = 10$

$8 + 5 = 8 + 2 + 3$

შემდეგ კი 10-ს  
მიემატება 3:

$10 + 3 = 13$

$8 + 5 = 13$

## მეგზური

იბოვით ჯამი 10-მდე შევსებით.

**ნიმუში •**  
 $7 + 5 = ?$

$7 + 3 + 2 = 12$

ა)  $8 + 4 = ?$

ბ)  $9 + 8 = ?$

## დამოუკიდებელი სამუშაო





1. რა რიცხვები უნდა იყოს ცარიელ უჯრებში?

$6 + \square = 10$




$7 + \square = 10$

$5 + \square = 10$

$4 + \square = 10$



2. იპოვეთ იისფერი და წითელი წრეების საერთო რაოდენობა 10-მდე შევსებით. დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



3. იპოვეთ ჯამი 10-მდე შევსებით.

$9 + 2$

$7 + 9$

$7 + 5$

$8 + 7$

$9 + 6$

$5 + 8$

$4 + 8$

$5 + 9$

$9 + 8$

$3 + 8$

$4 + 7$


$9 + 4$

## ამოცანის ამოხსნა

4. გულსუმს 5 ბუმტი ჰქონდა, ჯამბაზმა მას 9 ბუმტიც მისცა. რამდენი ბუმტი აქვს ახლა გულსუმს?



5. მატარებელში 8 ვაგონი იყო, მას 9 ვაგონიც მიაბეს. რამდენი ვაგონი გახდა მატარებელში?



6. ლალემ 8, სამირამ კი 7 ვაშლი მოწყვიტა. რამდენი ვაშლი უნდა მისცეს ლალემ სამირას, რომ სამირას ვაშლები 10 გახდეს? რამდენი ვაშლი დარჩება ლალეს?



## აღოსენით ამოცანები

დაიბაბსოვრე



- ბაიარე ამოცანა
- შუაღბინე ბეგბა
- აბოსენი
- შუამოწბე

1. სამირამ 10 ბალი და 3 ჭერამი შეჭამა. სულ რამდენი ხილი შეჭამა მან?



2. მაღაზიაში შუადღემდე 12, შუადღის შემდეგ კი 5 ჩაი გაიყიდა. რამდენი ყუთი ჩაი გაიყიდა მაღაზიაში დღის განმავლობაში?



3. აინურამ 8 ყვითელი და 7 წითელი მძივისაგან სამაჯური დაამზადა. სულ რამდენი მძივია სამაჯურზე?



4. მარცხენა კალათაში 8, მარჯვენა კალათაში კი მასზე 4 ცალით მეტი ბროწეულია. რამდენი ბროწეულია მარჯვენა კალათაში?




მაგიდაზე 8 სახელმძღვანელო, 5 ზღაპრებისა და 7 ცხოველების შესახებ წიგნია. წიგნის თაროზე 12 წიგნი თავსდება. ელხანი ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოებისა და ცხოველების შესახებ წიგნების თაროზე სრულად მოთავსება შეიძლება. თქვენი აზრით, ის სწორად ფიქრობს? რომელი წიგნების სრულად მოთავსება შეუძლია თაროზე ელხანს?





# 34 შეკრების სხვა ხერხები


## გამოკვლევა-განხილვა



თუ თეფშებზე არსებული ყველა ვაშლი კალათაში ჩაიწყობა, კალათაში სულ რამდენი ვაშლი იქნება?  
 • როგორ შეიძლება ამის პოვნა, ვაშლების ერთად დათვლის გარეშე?

## შესწავლა

სამი რიცხვის შეკრებისას თუ არის ისეთი ორი რიცხვი, რომლის ჯამიც 10-ია, მათი შეკრება უფრო ადვილია. შემდეგ მას შეიძლება მივუმატოთ მესამე შესაკრები.



თუ სამ შესაკრებს შორის არ არის ორი ისეთი, რომ ჯამი იყოს 10, როგორ შეიძლება ამ სამი რიცხვის ჯამის პოვნა?



## მეგზური

კუბების საერთო ჯამის პოვნისათვის დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.

ნიმუში •


$8 + 7 + 3 = 18$

ა)

ბ)

## დამოუკიდებელი სამუშაო

1. წრეების საერთო რაოდენობის პოვნისათვის დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



2. იპოვეთ ჯამი.


$5 + 5 + 5$	$7 + 4 + 3$	$7 + 2 + 8$	$9 + 3 + 1$	$4 + 3 + 10$
$12 + 2 + 5$	$11 + 4 + 3$	$9 + 2 + 4$	$10 + 3 + 5$	$6 + 8 + 4$

• ორი რიცხვის შეკრებისას მეტი რიცხვისათვის ნაკლები რიცხვის მიმატებით ჯამის პოვნა უფრო ადვილად შეიძლება.



$$4 + 12 = 12 + 4$$

+ 12




3. იპოვეთ ჯამი.

$2 + 10$	$3 + 16$	$4 + 15$	$1 + 17$	$5 + 8$	$3 + 9$
----------	----------	----------	----------	---------	---------




• რიცხვით ღერძზე წინ დათვლით უცნობი შესაკრების პოვნა შეიძლება.

$$11 + \square = 15$$



$$11 + 4 = 15$$

4. ბაყაყი ყოველ ჯერზე ერთი ერთეულით ხტება. რამდენი ნახტომის შემდეგ აღმოჩნდება ის ფოთოლზე? შეკრების შესახებ დაწერეთ მაგალითი.



5. რიცხვით ღერძზე წინ დათვლით იპოვეთ უცნობი შესაკრები.

$$13 + \square = 15$$

$$10 + \square = 20$$


$$7 + 2 + \square = 14$$

$$6 + 4 + \square = 19$$



- ზოგჯერ რიცხვის ორმაგის გამოყენებითაც შეიძლება ჯამის გამოთვლა.

6-ის ორმაგი



$$6 + 6 = 12$$

6-ის ორმაგზე ერთით მეტი



$$6 + 6 + 1 = 13$$



6. გამოთვალეთ ზეპირად.

$5 + 5$

$5 + 6$

$5 + 7$

$7 + 7$

$7 + 8$

$7 + 9$

$8 + 8$

$8 + 9$

7. გამოთვალეთ ჯამი სხვადასხვა ხერხით.

$4 + 4 + 10$

$7 + 7 + 3$

$5 + 6 + 6$

$8 + 2 + 8$

$5 + 9 + 5$

### ამოცანის ამოხსნა




8. მოცემულ კვადრატში სტრიქონებისა და სვეტების მიხედვით ჯამი 15-ის ტოლია. იპოვეთ ცარიელ უჯრებში ჩასაწერი რიცხვები.

2	7	
9	5	
		8

9. ელხანმა პაპასთან ერთად დილით 6, შუადღისას 6, საღამოს კი 2 ხე დარგო. მათ სულ რამდენი ხე დარგეს?



10. სასწორის თევშები გაწონასწორებულია. რამდენი გაერთიანებული კუბია ნაჭრის ქვეშ? რვეულში ჩაწერეთ შესაბამისი მაგალითები.





## ბანაზობადი დავალებები

1. დაწერეთ მაგალითები წერტილების საერთო რაოდენობის გამოთვლისათვის.

ა)	ბ)	გ)	დ)

2. დაწერეთ მაგალითები შეკრების მოქმედების შესახებ.

- იპოვეთ რიცხვების შვიდისა და თორმეტის ჯამი.
- იპოვეთ რვა, ორი და ექვსი რიცხვების ჯამი.
- ერთ-ერთი შესაკრები ცხრა, ჯამი კი ცამეტია. იპოვეთ მეორე შესაკრები.
- რვა რიცხვის ორმაგს მიუმატეთ ორი.

3. იპოვეთ ჯამი.

$10 + 2$	$7 + 10$	$15 + 2$	$8 + 11$	$9 + 4$	$5 + 6$
$10 + 5 + 3$	$13 + 3 + 2$	$6 + 3 + 4$	$5 + 5 + 8$	$6 + 7 + 5$	$4 + 8 + 6$

4. \* ადგილას “>”, “<” და “=” ნიშნებიდან რომელი უნდა იყოს?

$11 + 2 * 7 + 5$	$9 + 6 * 8 + 8$	$10 + 7 * 14 + 3$	$5 + 6 + 3 * 17$
------------------	-----------------	-------------------	------------------

5. ერთი კვერცხების ყუთში 7, მეორეში კი ოთხი ადგილი ცარიელია. ესმერ ბების კალათაში მყოფი კვერცხებიდან, ცარიელ ადგილებში ჩაწყობის შემდეგ, 6 კვერცხი ზედმეტი დარჩა. რამდენი კვერცხი იყო კალათაში თავდაპირველად?






35 რიცხვების გამოკლება

გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- 10-მდე შემცირება




ლალემ კოშკის ასაგებად 14 კუბიდან 4 აიღო.

- როგორ შეუძლია იპოვოს ლალემ დარჩენილი კუბების რაოდენობა? უჩვენეთ რვეულში წერტილებით.


შესწავლა

გამოკლების მოქმედების შესრულება უკან დათვლითაც შეიძლება.

$14 - 3 = 11$






უფრო თვალსაჩინოდ უკან დათვლა შეიძლება გამოისახოს რიცხვით ღერძზე.



მაკლები საკლების ერთეულების რაოდენობაზე ნაკლები შეიძლება იყოს. მაგალითად,  $16 - 4$ . ამ შემთხვევაში, სხვაობის პოვნისათვის, საკლების ერთეულების რაოდენობა, მაკლების ოდენობით მცირდება. ათეულების რაოდენობა კი ისევ ისე რჩება.

$16 - 4 = ?$





$16 - 4 = 12$

$$\begin{array}{r} 16 \\ - 4 \\ \hline 12 \end{array}$$







## მეგზური

დაწერეთ გამოსახულებების შესაბამისი მაგალითები და ამოხსენით.

ნიმუში



$$17 - 4 = 13$$



## დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ სხვაობა რიცხვით ღერძზე უკან დათვლით.


$$18 - 2$$

$$15 - 0$$

$$14 - 2$$

$$19 - 6$$

$$20 - 3$$



2. ამოხსენით მაგალითები.

$$13 - 1$$

$$15 - 2$$

$$18 - 6$$

$$\begin{array}{r} 17 \\ - 3 \\ \hline \end{array}$$


$$\begin{array}{r} 18 \\ - 5 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 15 \\ - 4 \\ \hline \end{array}$$




- რიცხვი 16-დან ერთეულების რაოდენობის გამოკლებისას 10 მიიღება. ეს რიცხვის 10-მდე შემცირებას ნიშნავს.

$$16 - 6 = 10$$



- რიცხვი 16-დან 10-ის გამოკლებისას მიღებული სხვაობა ერთეულების რაოდენობის ტოლი ხდება.

$$16 - 10 = 6$$



3. იპოვეთ სხვაობა.

$$15 - 5$$

$$13 - 10$$

$$12 - 2$$

$$17 - 10$$

$$18 - 8$$

$$19 - 9$$

$$11 - 1$$

$$14 - 10$$

$$16 - 6$$

$$19 - 10$$



4. დაწერეთ მოცემული რიცხვების 10-მდე შემცირების შესაბამისი მაგალითები.

13

16

14

18

19

5. მოცემული რიცხვების 10 ერთეულით შემცირებით რამდენი მიიღება? დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.

15

13

10

20

17

6. დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.

- ა) იპოვეთ რიცხვების ჩვიდმეტისა და ოთხის სხვაობა.
- ბ) საკლები - თორმეტი, მაკლებიც - თორმეტია. იპოვეთ სხვაობა.
- ბ) იპოვეთ სხვაობა, თუ საკლებია - თოთხმეტი, მაკლები კი - ოთხი.
- დ) იპოვეთ სხვაობა თუ საკლებია - თვრამეტი, მაკლებია - ათი.

### ამოცანის ამოხსნა

7. ზღაპრის წიგნში 16 გვერდია. აინურამ მისი 5 გვერდი წაიკითხა. წიგნის რამდენი გვერდი დარჩა წაუკითხავი?



8. მდელოზე 18 პეპელაა. მათგან 10 გაფრინდა. რამდენიმე პეპელა დარჩა?



9. სამირას სხვადასხვა ფერის 14 ფანქარი აქვს. მან დახატული სურათი ყვითელი, მწვანე და წითელი ფანქრებით გააფერადა. რამდენი ფანქარი არ გამოუყენებია სამირას?



# 36 10-მდე შემცირებით გამოკლება

## გამოკლება-განხილვა



შეჯიბრში 11 ცხენოსანი მონაწილეობდა, მათგან 1-მა შეჯიბრი დატოვა.

- რამდენმა ცხენოსანმა გააგრძელა შეჯიბრი? როგორ შეიძლება ამის გამოსახვა?
- რამდენი ცხენოსანი დარჩებოდა, თუ შეჯიბრს 1 კიარა, 3 ცხენოსანი დატოვებდა?

## შესწავლა

ზოგჯერ, მაკლები საკლების ერთეულების რაოდენობაზე მეტი შეიძლება იყოს.

მაგალითად,  $13 - 4$ .

ამ შემთხვევაში, სხვაობის მოძებნა შეიძლება 10-მდე შემცირებით.

$13 - 4 = ?$

●	●	●	●	●
●	●	●	●	●
●	●	●		

➔

რიცხვი 13  
10-მდე  
შემცირდება:

$13 - 3 = 10$

●	●	●	●	●
●	●	●	●	●
⊗	⊗	⊗		

➔

4 ერთეულით  
შემცირებისათვის  
სხვაობა კიდევ ერთი  
ერთეულით  
შემცირდება:

$10 - 1 = 9$

●	●	●	●	●
●	●	●	●	⊗


$13 - 4 = 9$



## მეგზური

დაშალეთ მაკლები ნაწილებად და იპოვეთ სხვაობა 10-მდე შემცირებით.


ნიმუში •  $14 - 6 = ?$




$$14 - 4 = 10$$

$$10 - 2 = 8$$

$12 - 5 = ?$






$17 - 9 = ?$



## დამოუკიდებელი სამუშაო

- დაწერეთ გამოსახულებების შესაბამისი მაგალითები და იპოვეთ სხვაობა 10-მდე შემცირებით.



- იპოვეთ სხვაობა 10-მდე შემცირებით. ამისათვის განსაზღვრეთ ცარიელ უჯრებში ჩასაწერი რიცხვები.

$$12 - 4$$

$$18 - 9$$

$$15 - 8$$

$$12 - \square = 10$$

$$10 - 2 = \square$$

$$12 - 4 = \square$$

$$18 - \square = 10$$

$$10 - 1 = \square$$

$$18 - 9 = \square$$

$$15 - \square = 10$$

$$10 - 3 = \square$$

$$15 - 8 = \square$$

- ამოხსენით მაგალითები.

$$11 - 2$$

$$11 - 4$$

$$12 - 5$$

$$13 - 5$$

$$17 - 8$$

$$14 - 5$$

$$15 - 7$$

$$11 - 6$$

$$16 - 7$$

$$13 - 6$$



4. იპოვეთ უცნობი.

$$15 - \square = 7$$

$$17 - \square = 10$$

$$13 - \square = 3$$

$$11 - \square = 3$$

### ამოცანის ამოხსნა

5. დაფაზე 10-მდე შემცირებით, ზოგიერთი მაგალითი შეცდომითაა ამოხსნილი. იპოვეთ შეცდომები და შეასწორეთ.

$12 - 3$	$15 - 7$	$13 - 8$
$12 - 2 = 10$	$15 - 5 = 10$	$13 - 4 = 10$
$10 - 1 = 9$	$10 - 3 = 7$	$10 - 4 = 6$
$12 - 3 = 9$	$15 - 7 = 7$	$13 - 8 = 6$

6. კლასიდან 11 მოსწავლე ჭადრაკის წრეზე დადის. მუსიკის წრეზე წამსვლელ მოსწავლეთა რაოდენობა კი მათზე 6-ით ნაკლებია. რამდენი მოსწავლე დადის მუსიკის წრეზე?

7. ღამით, სადგომზე 14 მანქანა იყო. დღისით რამდენიმე მათგანი გავიდა და 7 დარჩა. რამდენი მანქანა გავიდა სადგომიდან?



8. ანარის და 12 წლისაა. ანარი დაზე 6 წლით უმცროსია. რამდენი წლისაა ანარი?

9. ელხანამ და აინურამ თითოეულმა ერთი რიცხვი დაასახელა. ელხანის დასახელებული რიცხვი, აინურას დასახელებულ რიცხვზე 7-ერთეულით მეტია. რა რიცხვი დაასახელა აინურამ?



# აოხსენით ამოცანები

დაიბადოსო



- გაიაზრე ამოცანა
- შეაღვინე გეგმა
- აოხსენი
- შეამოწმი

1. ავტობუსში 13 მგზავრი იყო. გაჩერებაზე მათგან 6 ჩამოვიდა. რამდენი მგზავრი დარჩა ავტობუსში?

2. ყუთში 8 ფანქარი თავსდება. ლალემ მაგიდიდან ფანქრების ამ ყუთში ჩაწყობა მოინდომა. რამდენი ფანქარი დარჩება მაგიდაზე ყუთის ავსების შემდეგ?



3. ბავშვებს ვაშლის კალათები აერიათ. იპოვეთ მათი კალათები.

ჩემს კალათაში 11 ვაშლია.



ჩემს კალათაში ვაშლები შენს ვაშლებზე 5-ით ნაკლებია.



4. ნოვრუზის დღესასწაულზე ბებია ესმერმა 14 კვერცი შელგა. მან თითოეულ ბავშვს თითო კვერცი მისცა და 6 კვერცი დარჩა. რამდენ ბავშვს მისცა კვერცი ბებიამ?



5. თაროზე იყო 15 ზღაპრების წიგნი, სებინემ მათგან რამდენიმე წაიკითხა. თაროზე სებინეს წაუკითხავი 9 წიგნი დარჩა. რამდენი წიგნი წაიკითხა სებინემ?



6. ელხანს 13 სათამაშო მანქანა აქვს. ეს სამირას მანქანებზე 4 ცალით მეტია. რამდენი მანქანა აქვს სამირას?



# 37 შეკრებისა და გამოკლების კავშირი

## გამოკლება-განხილვა





ბავშვებმა წითელი და თეთრი ყვავილების დასარგავად სულ 14 ორმო ამოთხარეს.

- თითოეული ყვავილის რამდენი ცალის დარგვა შეიძლება?
- თითოეული ყვავილის რამდენი ცალის დარგვისას იქნება მათი რაოდენობა ტოლი?

## შესწავლა

რიცხვების სამეულში მთელი და მისი ნაწილები შეკრებისა და გამოკლების მოქმედებებით დაკავშირებულია ერთმანეთთან.



$9 + 7 = 16$

$7 + 9 = 16$

$16 - 9 = 7$

$16 - 7 = 9$

## მეგზური

დაწერეთ მაგალითები შეკრებისა და გამოკლების კავშირის შესახებ.

**ნიმუში**

14

$8 + 6 = 14$   
 $6 + 8 = 14$   
 $14 - 8 = 6$   
 $14 - 6 = 8$

12

$\square + \square = \square$   
 $\square + \square = \square$   
 $\square - \square = \square$   
 $\square - \square = \square$

16

$\square + \square = \square$   
 $\square + \square = \square$   
 $\square - \square = \square$   
 $\square - \square = \square$



## დამოუკიდებელი სამუშაო

1. დაწერეთ მაგალითები შეკრებისა და გამოკლების კავშირის შესახებ.

15	
6	9

12	
5	7

17	
9	8

2. იპოვეთ ცარიელი უჯრების რიცხვები.

$$10 + 4 = \square$$

$$4 + \square = 14$$

$$\square - 4 = 10$$

$$14 - \square = 4$$

$$6 + \square = 13$$

$$7 + 6 = \square$$

$$\square - 6 = 7$$

$$13 - \square = 6$$

$$9 + \square = 18$$

$$\square + 9 = 18$$

$$18 - \square = 9$$

$$\square - 9 = 9$$



3. მოცემული რიცხვებიდან განსაზღვრე, მთელი და მისი ნაწილების შემდგენი რიცხვების სამეული. რიცხვების სამეულის გამოყენებით დაწერეთ შეკრებისა და გამოკლების შესახებ შესაბამისი მაგალითები.

ა) 7, 8, 10, 15

ბ) 5, 9, 12, 14

გ) 7, 18, 8, 10

- თუ სასწორის ორივე თევზზე ერთი და იმავე საგნის ტოლი რაოდენობა იქნება, სასწორის თევზები გაწონასწორდება.




$$8 = 11 - 3$$

სასწორის მარჯვენა თევზიდან 3 კუბის აღებისას სასწორის თევზები გაწონასწორდება.

კუბების დამატებით, ამ სასწორის თევზები როგორ გათანაბრდება? დაწერეთ შესაბამისი მაგალითი.


მოიფიქრე!

4. სასწორის თევზების გათანაბრებისათვის, რამდენი კუბის აღება ან დამატებაა საჭირო? იპოვეთ ცარიელი უჯრების შესაბამისი რიცხვები.




$$12 - \square = 5$$

$$12 = \square + 5$$



$$9 + \square = 15$$

$$9 = 15 - \square$$



$$17 - \square = 10$$

$$17 = \square + 10$$

## ამოცანის ამოხსნა

5. ზოგიერთი მაგალითის პასუხი შეცდომითაა დაწერილი. შეასწორეთ შეცდომები. შეკრებით ან გამოკლებით შეამოწმეთ თქვენი პასუხი.

$12 + 2 = 10$
$13 - 4 = 10$
$15 - 0 = 15$
$7 + 8 = 14$
$11 + 7 = 18$

6. ლალემ ბალიდან მოკრეფილი ყვავილებიდან 7 ცალი აინურას მისცა, დანარჩენი 9 ყვავილი კი საყვავილეში ჩააწყო. რამდენი ყვავილი მოეკრიფა ლალეს?



7. დილით მაღაზიაში 15 ყუთი ჩაი იყო, შუადღემდე 7 ყუთი გაიყიდა. გამყიდველი ფიქრობდა, რომ 9 ყუთი დარჩა. სწორად ფიქრობდა ის? როგორ შეიძლება ამის შემოწმება?




## თამაში

### თამაში “შეავსე რიცხვების სამეული”

მოთამაშეთა რაოდენობა: 2 ან უფრო მეტი

#### საჭიროა:

- სურათზე მოცემული ნიმუშის შესაბამისი ფურცლები
- “მთელი” და “ნაწილი” სიტყვებ დაწერებული ბარათები თითოეულის 10 ცალი:
  - “ნაწილი” დაწერებული 10 ბარათის უკან 1-დან 10-მდე რიცხვები იწერება.
  - “მთელი” დაწერებული 10 ბარათის უკან 11-დან 20-მდე რიცხვები იწერება.



#### თამაშის წესი:

1. ბარათები პირქვე დაიწყო და აირევა.
2. თითოეული მოთამაშე ერთ “მთელი” და ერთ “ნაწილი” დაწერებულ ბარათს ხსნის.
3. მოთამაშეები განსაზღვრავენ მთელის მეორე ნაწილს.
4. ქაღალდზე რიცხვების სამეულები და შესაბამისი მაგალითები იწერება. გამარჯვებულია ის მოთამაშე, ვინც სწორად და სწრაფად დაწერს.





- ბაიზრე ამოცანა
- შმაღბინე გეგმა
- ამოხსენით
- შმამოწმე

**ნიმუში**

ტოტზე 11 ჩიტი იჯდა.

- მათგან 3 გაფრინდა. რამდენი ჩიტი დარჩა ტოტზე?
- შემდეგ ტოტზე 4 ჩიტიც მოფრინდა. სულ რამდენი ჩიტია ბოლოს ტოტზე?



**ნაბიჯი 1.** რამდენი ჩიტი დარჩა ტოტზე?

$$11 - 3 = 8$$

**ნაბიჯი 2.** რამდენი ჩიტია ბოლოს ტოტზე?

$$8 + 4 = 12$$

პასუხი: ტოტზე საბოლოოდ არის 12 ჩიტი.

ამოხსენით ამოცანები, თითოეული ნაბიჯისათვის მაგალითის დაწერით.

**1.** ავტობუსში 11 მგზავრი იყო.

- პირველ გაჩერებაზე 3 მგზავრიც ამოვიდა. რამდენი მგზავრია ავტობუსში?
- მეორე გაჩერებაზე 6 მგზავრი ჩავიდა. რამდენი მგზავრი დარჩა ავტობუსში?



**2.** აინურამ ბალიდან 12 მსხალი მოწყვიტა, თევშზე დააწყო.

- მან აქედან 8 ცალი სამირას მისცა. რამდენი დარჩა თევშზე?
- აინურამ ბალიდან ისევ 5 მსხალი მოწყვიტა, თევშზე დაამატა. რამდენი მსხალია საბოლოოდ თევშზე?



**3.** სპორტულ შეჯიბრზე 15 ბავშვი გარბოდა.

- შუა გზაზე 4 ბავშვი დაიღალა, შეჯიბრს გამოეთიშა. რამდენი ბავშვი დარჩა?
- ფინიშამდე კიდევ 3-მა ბავშვმა დატოვა შეჯიბრი. რამდენმა ბავშვმა მიაღწია ფინიშამდე?







## ბანაზობადი დავალებები

1. ამოხსენით მაგალითები.

$13 + 4$

$5 + 10$

$12 - 7$

$2 + 14$

$18$

$16$

$15 - 3$

$12 - 8$

$14 - 14$

$18 - 0$

$$\begin{array}{r} 18 \\ - 7 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 16 \\ - 5 \\ \hline \end{array}$$


2. დაწერეთ მაგალითები შეკრებისა და გამოკლების კავშირის შესახებ.

$$\begin{array}{|c|c|} \hline 12 \\ \hline \hline \hline 3 & 9 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{|c|c|} \hline 16 \\ \hline \hline \hline 8 & 8 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{|c|c|} \hline 18 \\ \hline \hline \hline 10 & 8 \\ \hline \end{array}$$

3. სასწორის თევზების გათანაბრებისათვის, რამდენი კუბის დამატება ან კიდევ აღებაა საჭირო? რვეულში ჩაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



4. მაგიდის გარშემო სტუმრებისათვის 12 სკამი იყო დაწყობილი. ყველას გართობის შემდეგ 3 სკამი ცარიელი დარჩა. რამდენი სტუმარი დაბრძანდა მაგიდასთან?

5. ბავშვები ტყეში სოკოს მოსაკრევად წავიდნენ. სამირამ სებინეზე 4 სოკოთი მეტი მოკრიფა. რამდენი სოკო მოკრიფა სებინემ, თუ სამირამ მოკრიფა 12 სოკო?



6. კალათაში 17 კვერცხი იყო. პირველ კვერცხის ყუთში 4, მეორეში კი 5 ადგილი ცარიელი იყო. რამდენი კვერცხი დარჩება კალათაში ესმერ ბების მიერ კვერცხების ცარიელ ადგილებში ჩაწყობის შემდეგ?





# რისხვები (100-მდე) • ფული



## მზად ვართ?

- დაასახელეთ მაღაზიაში სასკოლო ნივთების ფასები.
- რამდენი 10 კაპიკიანი რვეულის შეძენა შეიძლება 20 კაპიკით?
- ელხანის დედამ 4 მანათიანი ფუნჯების კომპლექტი შეიძინა. მან გამყიდველს 10 მანათიანი მისცა. რა თანხა უნდა დაუბრუნოს გამყიდველმა?

38 100-მდე დათვლა

გამოკვლევა-განხილვა


თამაში “კიბე”

მოთამაშეთა რაოდენობა: 2 ან მეტი

საჭიროა: კამათელი და ფერადი ღილები მოთამაშეთა ოდენობით



დასაწყისი



საკვანძო სიტყვები

- ასეულის ბარათი
- ოცდაერთი

თამაშის წესი:

- ღილები საწყის უჯრაში დაიწყება. თითოეული მოთამაშე რიგრიგობით კამათელს აგორებს. მოსული ქულის ოდენობით წინ ითვლის და ღილს

შესაბამის უჯრაში ჩადებს, თუ ღილი კიბის უჯრას დაემთხვევა, მას კიბის მეორე ბოლოს უჯრაში მოათავსებს. თითო მოთამაშე კამათელს 4-ჯერ აგორებს. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც უდიდეს რიცხვს მიაღწევს.

შესწავლა

1-დან 100-მდე რიცხვების ასეულის ბარათზე ასახვა ასე შეიძლება.

აქ რიცხვები:

- მარცხნიდან მარჯვნივ თითო-თითო,
- ზემოდან ქვემოთ კი ათ-ათობით იზრდება

მაგალითად, რიცხვ 53-ზე 1 ერთეულით ნაკლები რიცხვი 52, 1 ერთეულით მეტი 54, 10 ერთეულით ნაკლები 43, 10 ერთეულით მეტი რიცხვია 63.

		+1	+1	+1	+1	+1	+1	+1	+1		
+10	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	ათი
+10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	ოცი
+10	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	ოცდაათი
+10	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	ორმოცი
+10	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	ორმოცდაათი
+10	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	სამოცი
+10	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	სამოცდაათი
+10	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	ოთხმოცი
+10	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	ოთხმოცდაათი
+10	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	ასი

## მეგზური

ასეულის ბარათის საფუძველზე განსაზღვრეთ შესაბამისი რიცხვები.

### ნიმუში •

რიცხვ 27-ზე:

1-ით ნაკლები – **26**

10-ით ნაკლები – **17**

1-ით მეტი – **28**

10-ით მეტი – **37**

ა)

რიცხვ 38-ზე:

1-ით ნაკლები

10-ით ნაკლები

1-ით მეტი

10-ით მეტი

ბ)

რიცხვ 89-ზე:

1-ით მეტი

10-ით მეტი

1-ით ნაკლები

10-ით ნაკლები

## დამოუკიდებელი სამუშაო

1. ქვემოთ ნაჩვენებია ასეულის ბარათის ნაწილები. იპოვეთ ცარიელ უჯრებში ჩასაწერი რიცხვები.

34	35	36	
44			47
54	55	56	

57	58	59	
67	68		70
		79	80

71			74
81		83	84
91		93	94

77	78		80
		89	
97		99	100

22			
	33		

2. ასეულის ბარათის გამოყენებით დაასახელეთ რიცხვები:



- ა) 17-ის მომდევნო ოთხი რიცხვი    ბ) 50-ის მომდევნო შვიდი რიცხვი  
 ვ) 33-ის შემდეგი სამი რიცხვი    გ) 67-ის მომდევნო რიცხვი  
 დ) 45-ის წინა ორი რიცხვი    დ) 33-ი ს წინა ოთხი რიცხვი

### • ორ-ორად დათვლა

21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50

### • ხუთ-ხუთად დათვლა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30







3. დათვალეთ ორ-ორად. სულ რამდენი ბალია?




4. დათვალეთ ხუთ-ხუთად. სულ რამდენი ქულაა?



5. თითოეულ ყუთში 10 სანთელია. ათ-ათობით დათვლით იპოვეთ სანთლების საერთო რაოდენობა.




6. ორ-ორად დათვლით იპოვეთ გამოტოვებული რიცხვები.



7. ხუთ-ხუთად დათვლით იპოვეთ გამოტოვებული რიცხვები.



8. ათ-ათად დათვლით იპოვეთ გამოტოვებული რიცხვები.



### ამოცანის ამოხსნა

9. სამირა ყოველ დღეს ზღაპრების წიგნის ხუთ გვერდს კითხულობს. რამდენ გვერდს წაიკითხავს ის შვიდ დღეში?

10. სეზინემ შეიძინა 4 ნამცხვრის ყუთი, თითოეულში 10 ცალით. შეძენილი ყუთები გახსნა და ნამცხვრები თევზზე მოათავსა. რამდენი ნამცხვარი არის თევზზე?





# 39 ათეული და ერთეული

## გამოკვლევა-განხილვა



ლალემ მძივებისაგან რამდენიმე სამაჯურის დამზადება მოინდომა. 10 მძივისაგან 1 სამაჯური მზადდება.

- საკვანძო სიტყვები**
- ციფრი
  - ორნიშნა რიცხვი

- რამდენი სამაჯური შეიძლება დაამზადოს ლალემ 34 მძივისაგან?
- რამდენი მძივი დარჩება ზედმეტი?

## შესწავლა

რიცხვის დასაწერად გამოიყენება ციფრები. ციფრებია შემდეგი: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

ორი ციფრით დაწერილი რიცხვები ორნიშნა რიცხვებია. ორნიშნა რიცხვებში მარჯვნიდან პირველი ციფრი ერთეულების, მეორე კი ათეულების რაოდენობას გვიჩვენებს.



მაგალითად, რიცხვ 47-ში არის 4 ათეული და 7 ერთეული.

ათეულები	ერთეულები
4	7

4 ათეული 7 ერთეული

- ორნიშნა რიცხვის პირველი ციფრი არ შეიძლება იყოს 0. მაგალითად, ჩანაწერი 03 მოიაზრება როგორც 3. ეს ერთციფრიანი რიცხვია. 30 კი ორნიშნა რიცხვია.



## მეგზური



წრეების რაოდენობის შესაბამისად დაწერეთ ათეულები და ერთეულები.

**ნიმუში**

ათეულები	ერთეულები
2	3


2 ათეული 3 ერთეული






### დამოუკიდებელი სამუშაო

1. ჩხირების რაოდენობის მიხედვით რვეულში ჩაწერეთ რიცხვები.



2. რიცხვები ათეულებად და ერთეულებად დაყოფით ასახეთ რიცხვების სამეულში.



3. დაწერეთ ერთი და იგივე ციფრების მქონე რამდენიმე ორნიშნა რიცხვი. აღნიშნეთ ამ რიცხვებში რამდენი ათეული და რამდენი ერთეულია.

### ამოცანის ამოხსნა

4. ანარმა კვერცხები 10 ადგილიან ყუთებში მოათავსა. 3 ყუთის ავსების შემდეგ, 8 კვერცხი ზედმეტი დარჩა. რამდენი კვერცხი იყო კალათაში თავდაპირველად?



5. ორნიშნა რიცხვში 3 ერთეულია. ათეულების რაოდენობა ერთეულების რაოდენობაზე 1 ერთეულით მეტია. რა რიცხვია ეს?



6. აინურამ ჩაიფიქრა ორნიშნა რიცხვი. ამ რიცხვის ციფრების ჯამი 3-ის ტოლია. რომელი რიცხვები შეიძლება იყოს?

# 40 კაპიკი და მანათი

## გამოკვლევა-განხილვა



სამირას სამი 5 კაპიკიანი, აინურას კი ერთი 20 კაპიკიანი აქვს.

- თქვენი აზრით, ვისი ფულია მეტი?

## შესწავლა

რაიმეს შესაძენად კაპიკი და ქალაქის ფული გამოიყენება.

კაპიკები	მანათები
1 კაპიკი	1 მანათი
10 კაპიკი	50 მანათი
3 კაპიკი	5 მანათი
20 კაპიკი	100 მანათი
5 კაპიკი	10 მანათი
50 კაპიკი	200 მანათი
	20 მანათი

1 მანათი = 100კაპიკი

კაპიკი შემოკლებით "კაპ" მანათი კი "მან" სახით იწერება. მანათი  $\text{ლ}$  სიმბოლოთიც აღინიშნება. მაგალითად,  $5\text{ლ} = 5$  მანათი

## მეგზური

4, 8 და 11 კაპიკი 2 ცალი კაპიკით როგორ შეიძლება მივიღოთ? შეადგინეთ მაგალითები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში •

4 კაპიკი

$1 \text{ კაპ} + 3 \text{ კაპ} = 4 \text{ კაპ}$

ა)

8 კაპიკი

?

?

ბ)

11 კაპიკი

?

?

## დამოუკიდებელი სამუშაო

1. რამდენი კაპიკი აქვთ სამირას და ლალეს?



2. რა თანხაა თითოეულ საფულეში? დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



3. რომელ საფულეშია უფრო მეტი ფული? დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



• 10 კაპიკიანი ფანქრის ფულის გადახდა სხვადასხვა კაპიკებით შეიძლება.



4. "?" ნიშნის ადგილას, რომელი რიცხვები უნდა იყოს?

ა)  ერთად ერთი  მანათიანის ტოლია.


ბ)  კაპიკიანები ერთად ერთი  კაპიკიანის ტოლია.

## ამოცანის ამოხსნა

5. სამირამ 16 მანათი ქალაქის ფული შეაგროვა. აქედან ერთი 5 მანათიანია. რამდენ მანათიანები შეიძლება იყოს სამირას დანარჩენი ფული?

